ახალი

ჯანმაგალი

„მეფნიერია ის, ვისაც სამშობლოსათვის უძვერს გული„

ჯანმაგალი

86 წელი თქვენთან ერთად!

2018 წელი 29 ივნისი № 6 № 8135

ელფოსტა

AxaliGantiadi@gmail.com

სამუშაო შეხვედრა მუნიციპალიტეტის მერიაში

გვ4.

გვ4.

პროფესიული სასწავლებლის მშენებლობა დაიწყო

''საჯილდაო ქვა'' მოსწავლეთათვის

გვ4.

ცივილიზაციის საყოველთაო სიმბოლოები

გვ2-3.

გვ2.

პროექტი ,,წიგნის მოვლის კულტურა,,

დამოუკიდებლობის ასი წელი

გვ5.

გვ7.

სასკოლო მზაობის ცენტრი ეხმარება ბავშვებს ქართული ენის სწავლაში

დიდების და პატივების მარადითი

გვ5.

გენდერული თანასწორობა

გვ4.

,,ვემზადებით საიუბილეო გამოშვებისათვის,,

გვ6.

,,ახალი ავდგები ლიმილით სავსე,,

გვ7.

დასრულდა ბავშვობის უდარდელი ხანა

გვ6.

თვითგამოხატვის ჩვენებური ხერხი

გვ9.

საქალაგანის საჯარო სკოლაში

გვ9

ახალსახლობამდე

გვ7.

პროექტი „წიგნის მოვლის კულტურა„

კასპის მუნიციპალიტეტის საქალაქო ბიბლიოთეკაში კასპის მაჟორიტარი დეპუტატის ირაკლი მეზურნიშვილის და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით განხორციელდა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის კონსერვაცია-რესტავრაციის სამეცნიერო ლაბორატორიის პროექტი „წიგნის მოვლის კულტურა''.

- მინდა ძალიან დიდი მადლობა გადავუხადო ბატონ რეზო კლდიაშვილს, ბატონ ზაზა აბაშიძეს და განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილეს ქალბატონ ქეთევან ნატრიაშვილს ასეთი საინტერესო და შემეცნებითი ღონისძიებისთვის. ასევე მე მინდა პირადად თქვენ გადაგიხადოთ მადლობა, რადგან აღფრთოვანებული ვარ ჩემი რაიონის ახალგაზრდებით. მე თქვენ რომ გიყურებთ, მაძლევთ სტიმულს იმის, რომ ერთი წამით არ გავჩერდე და მუდამ შეგიქმნათ შესაბამისი პირობები, რომ უფრო საინტერესო გახდეს თქვენი ცხოვრება. ეს პროექტი კიდევ ერთი ნაბიჯია თქვენი ზოგადი განათლებისთვის და გპირდებით ჩვენ მუდამ გავაგრძელებთ ასეთი ტიპის შეხვედრებს. ძალიან მიხარია, რომ დღეს თქვენთან ერთად ვარ. „რა? სად? როდის?'' არის ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი აზარტული თამაში და მე მინდა, რომ ასეთი ტიპის ინტელექტუალური თამაშები იყოს ერთადერთი იმ სხვა აზარტული თამაშებიდან.

„რა? სად? როდის?'' არის დაკავშირებული წიგნთან და ინტელექტთან, რაც მთავარია ჩვენს ცხოვრებაში. ხელისუფლების გადმოსახედიდან ჩემი, როგორც პარლამენტის წარმომადგენლის ვალდებულებაა, შეგიქმნათ ყველა პირობა, იმისთვის, რომ მომავალში თქვენი ინტელექტი და ცოდნა გამოვიყენოთ და დაგეხმაროთ წარმატებული მომავლის შექმნაში. მე ვამაყობ კასპის რაიონში ასეთი აქტიური ახალგაზრდები რომ არიან.

ვულოცავ კასპის მუნიციპალიტეტის პირველი საჯარო სკოლის გუნდს ღირსეულ გამარჯვებას, ასევე ყველა გუნდს, თითოეულ მონაწილეს ვუსურვებ წარმატებას.

„მე განსაკუთრებით ვამაყობ თქვენით„

კასპის ბიზნესისა და ტექნოლოგიების გადამზადების ცენტრის კომპიუტერული პროგრამის ტრენინგის ბენეფიციარებს, ტექნოპარკში ირაკლი მეზურნიშვილმა და ავთანდილ კასრაძემ სერტიფიკატები გადასცეს.

- თქვენ ამტკიცებთ რომ კასპის რაიონში ძალიან ნიჭიერი და ამბიციური ახალგაზრდები ხართ, სწორედ ამიტომ კეთდება რეგიონში ისეთი ტიპის ინფრასტრუქტურა, რომ თქვენ გქონდეთ თვითრეალიზაციის შესაძლებლობა. მე განსაკუთრებით ვამაყობ დღეს თქვენით, რადგან ჩამოხვედით ტექნოპარკში და საკუთარი შექმნილი ვებსაიტები წარადგინეთ, რომლის შექმნას ორი თვის განმავლობაში, ჩვენს ბიზნესისა და ტექნოლოგიების გადამზადების ცენტრში სწავლობდით.

კიდევ ერთხელ განსაკუთრებით ვულოცავ ნიკა ბალხამიშვილს, ბაჩანა ბალიაშვილს, იოსებ ქარქუსაშვილს, ანი თათარაშვილს, გვანცა ხიზაძეს, სანდრო პეპანაშვილს, მაია მანძულაშვილს, დავით მარიამიძეს, ოთო ქოქაევს და გიორგი დალაქიშვილს ტრენინგების წარმატებით დასრულებას და შესაბამისი სერტიფიკატების მიღებას.

ძალიან ვამაყობ ყველა ასეთი მიზანდასახული რომ ხართ, თქვენ ორი თვის განმავლობაში პასუხისმგებლობით უდგებოდით გადამზადების ტრენინგებს. ახლა - პროგრამირების ტრენინგები დასასრულს უახლოვდება. დასკვნითი მეცადინეობის შემდეგ, ახალგაზრდები ტექნოპარკში წარადგენთ საკუთარ პროექტებს, რის მიხედვითაც გადმოგეცემათ სერტიფიკატები. მინდა ყველას გისურვოთ წარმატება და მე მჯერა, რომ ეს იქნება თქვენი პირველი დამოუკიდებელი ნაბიჯი წარმატებული მომავლისკენ.

წინასიტყვაობის მაგიერ

ყოველი არჩევნების წინ ელოდები სასიკეთო ცვლილებებს. ამ უხილავი იმედით მიდიხარ საარჩევნო ყუთთან და არჩევანი შენ!...

ჯასპის მოსახლეობას რამდენჯერ გაუმართლა საპარლამენტო არჩევანში ამაზე დღეს არ ვისაუბრებთ ... თუმც, ერთზე შევთანხმდეთ პარლამენტართა „აქტიურობა„ ყოველთვის ტოვებდა უკეთესის სურვილს ...

ერთი სიტყვით, ყოველთვის ველოდით საზოგადო მოღვაწეს, რომელიც სასარგებლო, გულისხმიერი და ნაყოფიერი შრომით რაიონის ცხოვრების თანაზიარი იქნებოდა.

საზოგადო მოღვაწეები თავისი ცოდნით, საქმიანობით ხალხის რჩეულები არიან, ისინი ზრუნავენ იმ პრობლემებზე, რომელიც ხალხს აწუხებს, ცდილობენ დაეხმარონ მათ. საზოგადოება ჯი სულ მათ ძებნაშია.

კასპის მაჟორიტარ დეპუტატ ირაკლი მეზურნიშვილთან შეხვედრა არავისთვისაა პრობლემა. ჩვენში დარჩეს და ცოტა დამაბნეველია ასეთი გახსნილობა; კერძოდ, გინდა შეხვედრა? მიგიღებს, მოგისმენს ... ტყუილად არ დაგპირდება, თუ დაგპირდება შეგისრულებს...

- ბატონო ირაკლი, თქვენი ინიციატივით კასპში ბიზნესისა და ტექნოლოგიების ახალგაზრდული გადამზადების ცენტრი გაიხსნა, ეს ფაქტი დღემდე განიხილება, როგორც საინტერესო, მნიშვნელოვანი და დიდი ხნის სასურველი სიახლე; თქვენ რას გვეტყვით პროექტთან დაკავშირებით, რა არის პროექტის მიზანი?

- ცენტრის მიზანია რეგიონში თანამედროვე განათლების ტენდენციების და ინოვაციების დამკვიდრება. ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტში მედია მარკეტინგის სწავლების სამთვიანი პროგრამის შემდეგ, ისინი აღნიშნულ ცენტრში შეძლებენ მუშაობას. სხვათა შორის, აღნიშნული ერთადერთი ტექნოლოგიური პროექტი არაა, რომელიც კასპში ხორციელდება. მუშაობა იწყება მცირე ტექნოპარკის გახსნაზე...

შეგვიძლია, სიხარულით ვაღიაროთ, რომ

ცივილიზაციის ცვლილების ცხელი ლიბერიზე

ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი და ინოვაციური პროექტი საქართველოს რეგიონალური განვითარების ჭრილში. ცენტრში გადამზადების პროცესი მიმდინარეობს. აქტიურად ტარდება სემინარები და ტრენინგები. ვცდილობთ მაქსიმალურად ვითანამშრომლოთ ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტთან, ტექნოპარკთან და მათ მიერ განხორციელებული პროექტები ჩვენს ცენტრშიც გადმოვიტანოთ. მნიშვნელოვანია ახალგაზრდების ჩართულობა. პირველ ნაკადში ის ბენეფიციარები მონაწილეობენ, რომლებმაც თავად გამოთქვეს სურვილი. ზოგადად კი ჩვენი კარი ყველასთვის ღიაა. აქ მოსვლა და იდეის გაზიარება ყველას შეუძლია. მაქსიმალურად ვეცდებით, ყველას დავეხმაროთ.

ბიზნესისა და ტექნოლოგიების ახალგაზრდული გადამზადების ცენტრში სისტემატურად იმართება ტრენინგები თანამედროვე ციფრულ ტექნოლოგიებსა და სოციალური მედიის მარკეტინგის მიმართულებით, სემინარები მსოფლიოს დასაქმების საერთაშორისო პლატფორმაზე დისტანციური სამუშაოების შესასრულებლად საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავების მიზნით.

სამთვიანი კურსების ფარგლებში ბენეფიციარები სწავლობენ მარკეტინგს, საზოგადოებასთან ურთიერთობას, სოციალურ მედიას, გრაფიკულ პროგრამებს. სწავლების პროცესი ხორციელდება როგორც თბილისში (ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტში), ასევე კასპის ახლადგახსნილ ცენტრში.

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის რექტორმა მიხეილ ბატიაშვილმა პირველ შეხვედრაზე აღნიშნა - კასპი ამ პროექტის პირველი მაგალითია.

ცენტრის პირველი გამოშვების 5 ბენეფიციარიდან ერთი დასაქმდა კიდეც. მეორე გამოშვება დაასრულა 10-მა, მესამეც ათმა.. 35 ახალგაზრდას დაუფინანსდა ინგლისური ენის კურსი.

კასპის კერძო კლინიკა "მარიმედმა," რომელიც რებრენდინგს აკეთებს, სარეკლამო ვიდეორგოლი და ახალი ლოგო სწორედ ბიზნესისა და ტექნოლოგიების ახალგაზრდული გადამზადების ცენტრის ბენეფიციარს დაუკვეთა.

ტექნოლოგიური პროექტები მნიშვნელოვანია დასაქმების გაზრდის მიზნით. ის, რაც ხდება თბილისის ტექნოპარკში, ტექნოლოგიები, რომელიც იქ არის წარმოდგენილი და ახალგაზრდები, რომლებიც მუშაობენ, ძალიან იმედის მომცემია.

საქართველოს ტექნოპარკში ჩამოყალიბებული იდეები მსოფლიო მასშტაბით ფინანსდება. ფაქტობრივად, ყველა ინოვაცია იქმნება და ვითარდება. ძალიან მნიშვნელოვანია ასეთი ცენტრის კასპში შექმნაც.

დასასრული გვ4.

ცივილიზაციის ცვლილების სიხშირეზე

დასასრული.

დარწმუნებული ვარ, ბევრი უნიკალური იდეა დაიბადება აქ და ბევრი სტარტაპი აიღებს სათავეს.

კიდევ ერთხელ და ხაზგასმით უნდა ვაღიაროთ, რომ შემოთავაზებული სიახლე ძალიან შორეულ პერსპექტივად გვესახებოდა ... განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსი გახლავთ ის ფაქტი, რომ სასურველი სიახლით მნიშვნელოვანი კარი გაეხსნათ ჩვენებურ ახალგაზრდებს ცივილიზაციის სასურველ სიხშირეზე.

და კიდევ, "ბიზნესისა და ტექნოლოგიების ახალგაზრდული გადამზადების ცენტრი" პრეცედენტია შიდა ქართლში, რომელიც ჩვენთან ტექნოპარკის გახსნის წინაპირობაა.

- ბატონო ირაკლი, უკვე ორჯერ ჩატარდა კასპის მუნიციპალიტეტში მდინარე თეძამზე წყალსაცავის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა. თემის სპეციფიკიდან გამომდინარე ხომ არ გვესაუბრებით წყალსაცავის პერსპექტივაზე?

- ცნობილია რომ, მდ. თეძამის ჩამონადენის შიდაწლიური განაწილება არათანაბარია და მისი ცვალებადობა სხვადასხვა წლებში, განსაკუთრებით ვეგატაციური მორწყვის პერიოდში, სრულად ვერ უზრუნველყოფს სარწყავი წყლის საჭირო რაოდენობას.

მცირეწყლიან წლებში, წყალმცირობის დროს მდინარის ხარჯი მცირდება და სარწყავი სისტემები განიცდის წყლის მწვავე ნაკლებობას, ხოლო მდ. თეძამის ქვედა დინება პრაქტიკულად შრება.

ვეგეტაციის პერიოდში სარწყავი სისტემების წყლით უზრუნველყოფის მიზნით, მივიღეთ გადაწყვეტილება მდინარე თეძამზე სეზონური რეგულირების წყალსაცავის მოწყობის თაობაზე.

წყალსაცავის საპროექტო მოცულობა იქნება 12.0 მლნ $მ^3$, საიდანაც 10,0 მლნ $მ^3$

დაუვიწყარი მომენტი.... ჩემი კასპი გაიგებს...

სასარგებლო მოცულობაა. წყალსაცავიდან სარწყავი წყალი გარანტირებულად მიეწოდება 7 000 ჰა ფართობზე. ჩვენი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ასევე დაგეგმილია დოესის, ნიაბის, სასირეთის, ყარაღაჯის, მეტეხის, ჩოჩეთის

და სხვა სარწყავი სისტემების რეაბილიტაცია. პროექტი ხორციელდება სოფლის მეურნეობის და გარემოს დაცვის სამინისტროს დახმარებით.

ჰიდროკვანძის მოწყობა მოხდება სოფლების ჩაჩუბეთსა და რკონს შორის შერჩეულ ტერიტორიაზე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წყლით დასაფარი ტერიტორია დაუსახლებელია, არც სხვა რაიმე ობიექტებია განთავსებული. ბოლო დროს ეს მიწები გამოიყენებოდა როგორც საძოვარი.

- ბატონო ირაკლი, ბოლო ორი კვირაა ახალი სტადიონისა და პროფესიასწავლებლის მშენებლობის პროექტები კასპში საყოველთაო განხილვის საგნად იქცა, ყველას აინტერესებს რეალურად რა ხდება?

- დასაწყისში ფეხბურთის ფედერაციასთან და მუნიციპალური განვითარების ფონდთან ერთად კასპის საფეხბურთო მოედნის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით მოსამზადებელი პროცესი განვიხილეთ.

სტადიონის მშენებლობას რაც შეეხება, მოეწყობა ორი (დიდი და პატარა) სტადიონი, ტრიბუნა 500 მაყურებლისათვის, ვიპლოჟით. სტადიონის სტანდარტებიდან გამომდინარე საქართველოს 17 წლამდე ასაკის ნაკრებს შეეძლება კასპში თამაში;

მე მესმის, რომ ეს მნიშვნელოვანი სიახლეა მთელი მუნიციპალიტეტისათვის, მიხარია და მთელი ძალისხმევა დამჭირდა ამ პროექტის განხორციელებისათვის, კარგად ვაფასებ სიახლის მასშტაბს, მაგრამ ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ ორიათას ბავშვს მოვწყვეტთ ქუჩას, მათ ენერგიას ჯანსაღი სპორტული ცხოვრებისაკენ მივმართავთ.

თავად მშენებლობის პროცესში თხოვნით მივმართავ ნებისმიერ მშენებელ კომპანიას, რომ ადგილობრივი მოსახლეობა დაასაქმოს.

რაც შეეხება პროფესიასწავლებლის მშენებლობას, ვთვლი, რომ ეს იქნება ისტორიული (პათეტიკის გარეშე!) ლოკომოტივი კასპისათვის. სასწავლებელი 200 სტუდენტზეა გათვალილი, მორგებულია ქართლის ცხოვრების სპეციფიკაზე, აქ განვითარებად ტრადიციულ საქმიანობაზე; ასევე ერთ-ერთი მთავარი მიმართულება იქნება ინფორმაციული ტექნოლოგიები; ფაქტიურად კასპში აშენდება აითი (IT) პროფესიასწავლებელი. ცალკე იქნება ცემქარხნის ფაკულტეტი.

წლის ბოლოს ჩინური კომპანია ასრულებს ქარხანაში სამშენებლო პროექტს, შესაბამისად ისინი აღარ იმუშავებენ კასპში. 70 მილიონის ინვესტიცია ჩაიდო და ქარხანა გადადის "მწვანე ტექნოლოგიაზე,. დაბინძურების აღმრიცხველი აპარატი უკვე დაიდგა.

ასე რომ 2019 წლის პირველი იანვრიდან ინგრევა სტერეოტიპი - ცემენტის ქარხანა ჰაერის დამაბინძურებელი! ასე განვითარებული მოვლენების ფონზე, 70 მილიონი ინვესტიციის გათვალისწინებით იზრდება კასპის ბიუჯეტი. ახალ პროექტებზე საუბრისას უნდა აღვნიშნო, რომ სულ მალე ტექნოპარკის მშენებლობის ტენდერი ცხადდება. გვეხმარება მუნიციპალური განვითარების ფონდი და მსოფლიო ბანკი. ამ პროექტის განხორციელებით შეიკვრება ერთგვარი წრე, რომელიც ინფორმაციულ ტექნოლოგიებში ახალგაზრდების გადამზადებით დავიწყეთ.

სულ ვცდილობ ახლოს ვიყო ახალგაზრდებთან, მათ განათლებასა და გადამზადებაში ჩადებული მატერიალური თუ სულიერი რესურსი ყველაზე მნიშვნელოვანი ინვესტიციაა ჩვენი სამშობლოსათვის, ჩვენი მუნიციპალიტეტისათვის.

დაბოლოს (ავტორისაგან),

არაერთხელ წამიკითხავს და მომისმენია - ჟურნალისტებს აღსარებას ნუ გაანდობთო... რასაც ახლა გეტყვით ეს ამბავი ინტერვიუსთვის არ უთქვამს ბატონ ირაკლის, შემთხვევით მოვისმინე ტელეფონზე საუბარი...

მოზარდმაყურებელთა თეატრი უფასო სპექტაკლებს გამართავს კასპის სოფლებში. პროექტის ავტორი გახლავთ საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატი ირაკლი მეზურნიშვილი და საქართველოს დამსახურებული არტისტი, ღირსების ორდენის კავალერი პალიკო ნოზაძე. პროექტის მხარდამჭერია მოზარდმაყურებელთა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი დიმიტრი ხვთისიაშვილი.

პროექტის განხორციელება იწყება საზღვრისპირა სოფლებში! ეს ამბავი ამ ზაფხულის გამორჩეულად საინტერესო სიახლეა! მადლობა პროექტის ავტორებს!

დასაწყისში საზოგადო მოღვაწეზე რომ მოგახსენეთ იცით რატომ? კიდევ ერთხელ მინდოდა საზოგადოებისათვის შემეხსენებინა, საქართველო ყველაზე მეტად წარმატებული იყო მაშინ, როცა სახელმწიფოებრივად მოაზროვნე საზოგადო მოღვაწეები უდგებოდნენ სათავეში ქვეყანას.

ჩვენ ოჯახურად შეხვედრიხარ ქრონიკიდან

22 ივნისი

- ჩვენი რაიონი გამოირჩევა მრავალშვილიანი ოჯახებით. დღეს, მაგალითად, ვიყავი სტუმრად შალვა ხიზანიშვილთან. შალვა და მისი მეუღლე ზრდიან 7 არაჩვეულებრივ შვილს. მიხარია, რომ საქართველოში არიან ახალგაზრდები, რომლებიც მუხლჩაუხრელად შრომობენ და ამდენ ანგელოზს ზრდიან ერისა და ქვეყნის სასახელოდ.

"საჯილდაო ქვა" მოსწავლეთათვის

კასპის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკების გაერთიანებამ კასპის საქალაქო ბიბლიოთეკაში ინტელექტუალური თამაში "რა, სად, როდის?" ჩაატარა.

თამაშში მონაწილეობას ღებულობდა მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების 8 გუნდი. შეჯიბრი გაიმართა ორ ტურად.

ჟიურის გადაწყვეტილებით პირველი ადგილი მოიპოვა - კასპის პირველი საჯარო სკოლის გუნდმა "ოლიმპომ", მეორე ადგილი - კასპის მეორე საჯარო სკოლის გუნდმა "ევრიკამ", ხოლო მესამე ადგილი ახალქალაქის საჯარო სკოლის გუნდმა "თეძამი".

გამარჯვებულ გუნდებს ფასიანი საჩუქრები და სიგელები მუნიციპალიტეტის მერმა მანუჩარ მერებაშვილმა გადასცა.

სასმელი წყლის მიწოდება გაუმჯობესდება

სადგურ მეტეხის დასახლებაში სასმელი წყლის სათავისა და ქსელის რეაბილიტაციის სამუშაოები დაიწყო. ამჟამად მოსამზადებელი სამუშაოები მიმდინარეობს.

პროექტი ითვალისწინებს არსებული ქსელის ამოცვლას, სათვალთვალო ჭების, სანტექნიკის ნაწილის, გარეგანათების მოწყობას, სათავე ნაგებობის შემოღობვას და ლითონკონსტრუქციების ზეთოვანი საღებავით შეღებვას.

დასახლებას სასმელი წყლის პრობლემა ჰქონდა, სამუშაოების დასრულების შემდეგ 200 ოჯახს სასმელი წყლის მიწოდება გაუუმჯობესდება, რომელიც ეკოლოგიურად სუფთა იქნება, - აღნიშნა მეტეხის ადმინისტრაციულ ერთეულში კასპის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელმა იოსებ მარღიშვილმა.

სარეაბილიტაციო სამუშაოებს შპს "ფუძე" ახორციელებს და მასზე 205 198 ლარი დაიხარჯება. ინფრასტრუქტურული პროექტი ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება.

სამუშაო შეხვედრა მუნიციპალიტეტის მერიაში

რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების მეორე პროექტის ფარგლებში - კასპის მუნიციპალიტეტის მერიაში ორგანიზაცია Eptisa და Ecorus ერთად სამუშაო შეხვედრა გაიმართა.

შეხვედრაზე განიხილეს ერთობლივი პროექტი წყალმომარაგების საკითხებზე, დაზუსტებულ საინვესტიციო გეგმის შემუშავებაზე, განვითარების პროექტის კონცეფციაზე, როგორც ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის საფუძველზე.

აღნიშნულ საკითხებზე კონკრეტულად ისაუბრეს ექსპერტებმა რაფალი შპორკომ, რეივოლ შიმ, ადრიანა პიენარუმ, ქრისთინა ვრედბერგმა, ალან პაკერმა, ვალერი გულბანმა, რატი გაბრიჩიძემ და ვაჟა ჩოფიკაშვილმა. შეხვედრაზე გაიმართა დისკუსია, რომელსაც უძღვებოდა ჯგუფის ხელმძღვანელი ქრისთინა ვრედბერგი.

პროექტი, რომელიც მსოფლიო ბანკისა და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს მიერ არის დაფინანსებული, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფ საქართველოს მუნიციპალურ ფონდს ეხმარება, რათა პროექტის ციკლის მართვაში საქართველოს მუნიციპალიტეტების შესაძლებლობები გაზარდოს კონკრეტულად ინფრასტრუქტურულ პროექტებზე.

პროფესიული სასწავლებლის მშენებლობა დაიწყო

ქალაქ კასპში პროფესიული სასწავლებლის მშენებლობა დაიწყო. სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებული, შპს "თბილი სახლის" მიერ არსებული შენობის დემონტაჟის სამუშაოები მიმდინარეობს. სასწავლებლის სამუშაოების ღირებულება 3 893 624 ლარია, საიდანაც 1 500 000 ლარი მიმდინარე წელს დაიხარჯება, ხოლო 2019 წელს 2 393 624 ლარი.

შენობის გარდა მოეწყობა სპორტული ინფრასტრუქტურა და ეზო, დაირგვება ნარგავები.

პროფესიული სასწავლებელი ხელს შეუწყობს ახალგაზრდების პროფესიულ მომზადებას და შემდგომში მათ დასაქმებას.

პირველი საჯარო სკოლის მშენებლობა მალე დასრულდება

კასპში №1 საჯარო სკოლის მშენებლობა გრძელდება. 600 მოსწავლეზე გათვლილი საჯარო სკოლა თანამედროვე სტანდარტების მიხედვით შენდება.

სკოლა ნაწილობრივ ოთხსართულიანია, სადაც საკლასო ოთახების გარდა, კლასკაბინეტები, სპორტული დარბაზი, ლიფტი, კვების ობიექტი და სხვა საჭიროებებია გათვალისწინებული.

აღნიშნული სკოლის მოსწავლეები, მშენებლობის პერიოდში ქალაქის №3 საჯარო სკოლაში აგრძელებენ სასწავლო პროცესს.

სკოლა აღიჭურვება ახალი ინვენტარით და მოსწავლეები 2018 - 2019 სასწავლო წელს ახალ სკოლაში იზეიმებენ.

გენდერული თანასწორობა

2018 წლის 14 ივნისს გაიმართა კასპის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს პირველი სხდომა. დღის წესრიგში იყო: კასპის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2018-2019 წლის სტრატეგია და სამოქმედო გეგმის განხილვა. სხდომას ესწრებოდნენ საბჭოს თავმჯდომარე დავით ლეონიძე, მდივანი ეკატერინე ჯაბაური, საბჭოს წევრები: თეა გულიკაშვილი, იამზე ქამხაძე, შოთა ბეგლარაშვილი, ალექსანდრე ბიძინაშვილი, ნანა ბერიაშვილი. საბჭოს სხდომამ დაამტკიცა სამოქმედო გეგმა, ფორმები და დრო.

დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

დამოუკიდებლობის ასი წელი

საქართველოს დამოუკიდებლობის ასი წლის იუბილე, ისევე როგორც ქვეყნის მასშტაბით, კასპის რაიონშიც საზეიმოდ აღინიშნა, მუნიციპალიტეტის თითქმის ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში დაგეგმილი იყო მრავალფეროვანი, საინტერესო ღონისძიებები, გაიმართა შეხვედრები მუზეუმებში, საჯარო

სკოლებსა და საბავშვო ბაღებში, სასოფლო კლუბებში... 26 მაისს სადღესასწაულო ღონისძიება დილაადრიან დაიწყო კასპში. საქართველოს ეროვნული გმირის მერაბ კოსტავას ბიუსტთან შეიკრიბნენ ჩვენი ქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, ომისა და შრომის ვეტერანები, სასულიერო პირები, მოსწავლეები და ახალგაზრდები, კასპის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს ხელმძღვანელი მუშაკები, რომლებმაც ყვავილების გვირგვინით შეამკეს მამულისათვის შეწირული გმირის ბიუსტი.

შემდეგ საზეიმო მსვლელობა კასპის ცენტრში მდებარე გმირთა მემორიალისაკენ გაემართა, სადაც დეკანოზმა გიორგი ხოჯავამ საქართველოს მთლიანობისათვის ბრძოლებში დაღუპულთა მოსახსენიებელი წირვა

ად ასახავს 1918 წლის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის გამოცხადებას და საგულისხმო გახლავთ ის ფაქტიც, რომ ამ ისტორიულ დოკუმენტს ხელს აწერენ კასპელი ძმები, ლევან და გიორგი ნათაძეები... ამაღლებული, საზეიმო განწყობა სუფევდა სააკაძის მოედანსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც მთელი დღის განმავლობაში პატარებს და არა მხოლოდ მათ "მასპინძლობდა" გასართობი ატრაქციონები, ყურადღებას იპყრობდა სახელდახელოდ მოწყობილი გამოფენები, სანახაობრივი წარმოდგენები, აქ ნახავდით აგრეთვე, ხელნაკეთ ნივთებსა და ნაქარგებს, აქსესუარებს, თექის ნაწარმსა და ფოტონამუშევრებს... ქალაქის საჯარო სკოლების მოსწავლეების მონაწილეობით გაიმართა სპორტული შეჯიბრი კალათბურთსა და მინი ფეხბურთში, ჭადრაკში, ჭიდაობაში, მოეწყო მხიარული სტარტების დასკვნითი ტური, საინტერესო იყო აგრეთვე, კარატეს სკოლის მოსწავლეების გამოსვლაც.

დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიების ყველაზე დრამატული ნაწილი გახლდათ ეროვნული გმირების, ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას ხმის ჩართვა, რომელიც გაჟღერდა სახელმწიფო ჰიმნის ფონზე... საზეიმო კონცერტი გაიხსნა ლეგენდარული "ხორუმით" /ქორეოგრაფიული ანსამბლი "დიდგორი", სამხატვრო ხელმძღვანელი ქეთევან მონასელიძე, ქორეოგრაფები მარინა რუსიშვილი და დარინა პაპაშვილი/, ცეკვას მოჰყვა ქართული "მრავალჟამიერი" /ფოლკლორული ანსამბლი "მოურავი", ლოტბარი გივი ბახტაძე/, ცნობილი ქართული ჰიტი "ხმალი ავლესოთ ქართველებო, ხმალი ავლესოთ" შეასრულა კასპის სამუსიკო სკოლის მოსწავლემ მიშო ჟივიძემ, /პედაგოგი ნინო მერებაშვილი/. პატრიოტული ქართული საესტრადო სიმღერა "საქართველო" – შეასრულა ხათუნა ხაჩიძემ, დღესასწაულზე საინტერესო საკონცერტო ნომრებით გამოვიდნენ ქორეოგრაფიული ანსამბლები: "რკონი" /ქორეოგრაფი მაკა დათაშვილი/, "იმედი" /ქორეოგრაფები: იზაბელა თაბუკაშვილი და ინგა თაბუკაშვილი/, "ქართლი" /ქორეოგრაფი ხათუნა გაგაძე/, საესტრადო სიმღერა "მე შენ მიყვარხარ საქართველო" შეასრულა სამუსიკო სკოლის მოსწავლემ გურამ ქამხაძემ /პედაგოგი ნინო მერებაშვილი/, მღეროდა ქართული ხალხური საკრავების ანსამბლი "თხოთი" /ხელმძღვანელი თამაზ დურგლიშვილი/, აპლოდისმენტებით შეხვდა საზოგადოება პატრიოტული სულისკვეთებით გამსჭვალულ სიმღერას "მაგრად დაჰკარით", რომელიც შეასრულეს ანსამბლ "მოურავის" სოლისტებმა მიხეილ ქოსაშვილმა, რეზო კერესელიძემ და ირაკლი ქებაძემ, საესტრადო სიმღერა "დავალ საყვარელ ქუჩებში" შეასრულა ზაზა მენაბდიშვილმა, საინტერესო იყო კარატე "კიოკუშინი" ჯგუფის /ხელმძღვანელი ირაკლი დუდუჩავა/ "წმინდა გიორგის" გამოსვლა...

სადღესასწაულო ღონისძიებას უძღვებოდა კასპის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის სამსახურის ხელმძღვანელი თეა ხორბალაძე... კონცერტი გვიანობამდე გაგრძელდა.

კასპის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებების გაერთიანება.

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე კასპში

ლიდების და ჰაფცარების მარათონი

საუკუნის წინ ოფიციალურად დაწესებული დღესასწაული – ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე მთელ მსოფლიოში აღინიშნება... დიახ, ყოველწლიურად, პირველ ივნისს ჩვენი ქვეყნის მასშტაბით იმართება სანახაობრივი ღონისძიებები, საზეიმო კონცერტები, სპორტული შეჯიბრებები, თეატრალიზებული წარმოდგენები, მოკლედ, ამ საზეიმო მარათონში ერთვება დიდი თუ პატარა, რა თქმა უნდა, ბავშვებთან ერთად დღესასწაულს უერთდებიან მშობლებიც...

კასპში, კულტურის ცენტრის წინ დღის მეორე ნახევარში გამოეფინა სადღესასწაულოდ გამოპრანჭული გოგო-ბიჭები, საზეიმოდ მორთული მიმდებარე ტერიტორია ხალხს ვერ იტევდა, აქ მოსული სტუმრები ხალისიანი მუსიკის ფონზე ათვალიერებდნენ საინტერესო გამოფენებს, ნახატებს, ხელნაკეთ ნივთებსა და ლამაზ აქსესუარებს, ნაქარგებსა და ფოტო-ნამუშევრებს... დღესასწაულის "ეპიცენტრი" გახლდათ მრავალფეროვანი, ბავშვთა გასართობი ატრაქციონი, რომლითაც ხალისობდნენ პატარები, მათ ყურადღებას იქცევდნენ ზეიმზე მოსალოცად მოსული ბავშვების საყვარელი ზღაპრების გმირები / მიკიმაუსი, ჯამბაზი, მასხარა/, პატარების ჟრიამული, მათი ცეკვა-თამაშის ხმა ისმოდა ქალაქის ცენტრსა და მის მიმდებარე ქუჩებში... პატარების ზეიმს ბოლო არ უჩანდა, საკონცერტო ნომრებს ენაცვლებოდა სპორტული სანახაობა, ასფალტზე ხატვა, თეატრალიზებული წარმოდგენები...

– დღესასწაულის მთავარი, საკონცერტო ნაწილის განხორციელება ამჯერად პატარებს "მივანდეთ", – განაცხადა კასპის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის სამსახურის ხელმძღვანელმა თეა ხორბალაძემ, – საქმე ის გახლავთ, რომ მთელ საკონცერტო პროგრამას ძირითადად ბავშვები წარმართავენ, ამიტომ ზეიმში ჩაერთო სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება /დირექტორი მანანა ხვთისიაშვილი/.

... ერთმანეთის მიყოლებით, ლამაზი, ბრჭყვიალა სამოსით დამშვენებულმა ბავშვებმა დაიკავეს ღია სცენა, აქ იყვნენ ჩვნი ქალაქის ხუთივე საბავშვო ბაღის აღსაზრდელები, რომელთაგან ბევრი მათგანი წელს დაემშვიდობება მშობლიურ ბაღს, სხვათა შორის, დამამთავრებელი ჯგუფების გარდა, ზეიმის მონაწილეთა შორის იყვნენ სულ პატარებიც, რომლებმაც ძალიან მოინდომეს და თავი მოიწონეს ყველას დასანახად. ერთი სიტყვით, შეიძლება ითქვას, რომ ნამდვილად წარმატებული გამოსვლა ჰქონდათ ბავშვებს, სცენაზე გამოსულ პატარებს ახალისებდა, თან აგულიანებდა ცნობილი დიჯეი გიორგი დათაშვილი.

კასპის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებების გაერთიანება.

საზაფხულო არდადეგების დადგომამდე ჯასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების ორგანიზებით წინასწარ შემუშავებული გეგმა-განრიგის მიხედვით საბავშვო ბაგა-ბაღებში ეწყობა საინტერესო შეხვედრები, პრეზენტაციები, შემეცნებით-გასართობი და გამოსაშვები ღონისძიებები...

_ მუნიციპალიტეტის მასშტაბით დღეის მდგომარეობით ჩვენს საალმზრდელო დაწესებულებებში სულ ათას 574 აღსაზრდელი ირიცხება _ აცხადებს ჯასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორი მანანა ხვთისიაშვილი, _ და აქედან წელსვე 402 აღსაზრდელი შეაღებს საჯარო სკოლის ჯარს.

„ვემზადებით საიუბილეო გამოშვებისათვის„

ზღაპრულ ფერიებს ჰგავდნენ, გემოვნებით შერჩეული ერთნაირი ფერის, მოხდენილი სამოსით დამშვენებული პრანჭია გოგონები ლექსის თქმასა და სიმღერაში ეჯიბრებოდნენ თანატოლ ბიჭუნებს...

თვალს ვერ მოაცილებდით გამოსაშვებ ღონისძიებაზე მოსულ კასპის მეორე საბავშვო ბაგა-ბაღის აღსაზრდელებს.

მოხიბლული და აღფრთოვანებული სტუმრები, მშობლები, ბავშვების ახლობლები ემოციებს ვერ ფარავდნენ... მწყობრი ნაბიჯით შემოსვლა მუსიკის ფონზე და ომახიანი მისალმება მართლაც რომ, საამო სანახავი იყო, წუნს ვერ მოძებნიდით წარმოდგენილ ლიტერატურულ-მუსიკალურ კომპოზიციაში, სადაც ყველა ბავშვს თავისი როლი ჰქონდა მორგებული, იმის გათვალისწინებით, თუ ვის რა შეეძლო... — ნამდვილად ვამაყობთ ჩვენი ისტორიით და არც ტრადიციებს ვღალატობთ. ჩემს ჯგუფში წელს 28 აღსაზრდელი ირიცხებოდა და აქედან 19 სასკოლო მერხს მიუჯდება, — აცხადებს უფროსი ჯგუფის აღმზრდელი ნანა დალაქიშვილი, — ჩვენმა ბაღმა ამ ხნის განმავლობაში 49-ე ღირსეულ თაობას უმასპინძლა და მომავალი წლისთვის უკვე ვემზადებით საიუბილეო, 50-ე გამოშვებისათვის.

საჩვენებელი ღონისძიება საათზე მეტხანს გაგრძელდა, ბავშვებმა წაიკითხეს ლექსები დედა ენაზე, სამშობლოზე, ქართველთა სახელოვან მეფეებზე.

ბავშვებმა უფროსების წინაშე თავი ცეკვა-თამაშითაც მოიწონეს, ერთმანეთის მონაცვლეობით გამოდიოდნენ მადლობის სათქმელად ნინო და ანდრია, საბა და სალომე, ნანიკო და ცოტნე, ნატალი და გიორგი, თეონა, მათე, რომლებიც მადლიერებას გამოთქვამდნენ აღმზრდელის ნანა დალაქიშვილის და მისი თანაშემწის ლელა შალუტაშვილის, მუსიკის მასწავლებლის ნინო მერებაშვილის, მეთოდისტის ეკა ქარჩავას მისამართით...

ეს დღე ბავშვებისთვის და არა მხოლოდ მათთვის დაუვიწყარი იქნება იმის გამოც, რომ მათ ღონისძიებას სტუმრობდა საბავშვო მწერალი ყამარ ბლიაძე, რომელმაც პატარებთან ერთად ძალიან იხალისა, მოეწონა მათი გამოსვლები, წაიკითხა სპეციალურად მათთვის დაწერილი ლექსები, ბავშვებს საჩუქრად გადასცა ჟურნალები, წიგნები და სამახსოვრო ფოტოც გადაიღო.

ღონისძიება დასრულდა ბაგა-ბაღის გამგის თამარ ხოკრიშვილის გამოსვლით, მან მადლობა გადაუხადა სტუმრობისათვის ბავშვების საყვარელ მწერალს ყამარ ბებოს, აღსაზრდელებს კი, გზა დაულოცა სკოლისაკენ.

დასრულდა ბავშვობის უდარდელი ხანა

მშობლების, ოჯახისა და ახლობლების სიხარულს ვერაფერი შეედრება, როდესაც საბავშვო ბაღში მისულ მათ პატარას მშვიდი, საიმედო, სასიამოვნო გარემო ხვდება... სწორედ ასეთი განცდა დაგეუფლებათ კასპის №1 საბავშვო ბაგა-ბაღში მისვლისას. ბაღის გამგე ქალბატონი მზია ჭაღიაშვილი, აღმზრდელ- მასწავლებლები, ტექნიკური პერსონალი ენერგიას არ ეზოგავს... ივნისის დასაწყისში გამართულ გამოსაშვებ ღონისძიებაზე, რომელიც აღმზრდელის თეა პაიჭაშვილის /თანაშემწე თამარ ბერიანიძე/ ბავშვებმა მოაწყეს, აღტაცებასა და სიხარულს, გაოცებას ვერ ფარავდნენ მნახველები, შეხვედრაზე სპეციალურად მოწვეული სტუმრები...

გამოსაშვებ ღონისძიებას ესწრებოდნენ კასპის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის სამსახურის უფროსი თეა ხორბალაძე, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორი მანანა ხვთისიაშვილი, კულტურის სამსახურის სპეციალისტები თეონა მილაძე, მაკა ჯაბური, აქ იყვნენ აგრეთვე, გაერთიანების სპეციალისტები ნია ჯუხარიძე, ნათუნა ხაჩიძე, მანანა მერებაშვილი და სხვები, რომლებიც საინტერესო, დაუვიწყარი სანახაობის მოწმენი გახდნენ. ლამაზ, მოხდენილ სამოსში გამოწყობილი პატარა მსახიობები: თეკლა, ლაზარე, ანამარია, თამარი, ნინო, ნოდარი, დეა და კონცერტში მონაწილე ყველა ბავშვი, განსაკუთრებით კი, 32 სასკოლო ბავშვი გაბედულად, შემართებით გამოდიოდა დამსწრე საზოგადოების წინაშე, ზოგი ლექსს კითხულობდა, ზოგი მღეროდა /მუსიკის მასწავლებელი შორენა ჯოჯიშვილი/ და ცეკვავდა, მოკლედ, საყვარელ ბაღთან გამომშვიდობება ძალიან შთამბეჭდავი და ემოციური იყო, მერე ყველამ ერთად გადაიღო სამახსოვრო ფოტო, ბავშვებს საზეიმო ვითარებაში გადაეცათ ლამაზად გაფორმებული გამოსაშვები ალბომი.

კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება.

სასკოლო მზაობის ცენტრი ეხმარება ბავშვებს ქართული ენის სწავლაში

ხუთი წლის წინ საქადაგიანოს აზერბაიჯანული მოსახლეობით დასახლებულ საჯარო სკოლის ბაზაზე შეიქმნა სასკოლო მზაობის ცენტრი, სადაც დღეის მდგომარეობით ირიცხება 16 აღსაზრდელი, რომელთაგან ერთადერთი ქართველი, დავით პაპუაშვილია, ხოლო დანარჩენი 15 აღსაზრდელი აზერბაიჯანელია და ყველა მათგანი მოწადინებული, დაინტერესებულია მიიღოს სკოლამდელი განათლება, თუმცა, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ მარტო ბავშვებს კი არა, მშობლების უმეტესობას ენის ბარიერი აქვს და ცხადია, ასეთ შემთხვევაში მათთან გართულებულია ელემენტარული საუბარი, რომ აღარაფერი ვთქვათ სხვა სახის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვაზე.

— დროის დიდ ნაწილს ვუთმობთ ბავშვების ზეპირი მეტყველების ჩამოყალიბებას, ყურადღებას ვამახვილებთ დისციპლინისა და ყოფა-ქცევის, ჰიგიენის წესების, საყოფაცხოვრებო საგნების დასახელების შესწავლის საკითხებზე, — აცხადებს სასკოლო მზაობის ცენტრის აღმზრდელი ნინო გაბიძაშვილი, — გვაქვს თავისუფალი გაკვეთილები, როდესაც ბავშვები ერთობიან და შეუზღუდავად თამაშობენ სათამაშოებით, სწორედ ამ დროს საგულდაგულოდ ვაკვირდებით, თუ როგორი ურთიერთობა აქვთ ერთმანეთის მიმართ, გვინდა გავიგოთ თითოეული მათგანის დადებითი და უარყოფითი თვისება და მოვახდინოთ სათანადო რეაგირება, ერთი სიტყვით, ყოველდღიურ რეჟიმში გვიხდება ვასწავლოთ ბავშვებს რომ იყვნენ დამოუკიდებლები, რაც ყველაზე მთავარია, ვეხმარებით ქართული ენის ათვისებაში, რათა გაუადვილდეთ სკოლაში სწავლა.

აი, ასეთი მეთოდოლოგიური სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი ხორციელდება საქადაგიანოს სასკოლო მზაობის ცენტრის ბავშვებთან და რა თქმა უნდა, გარკვეული შედეგები შეიმჩნევა კიდეც, სწავლობენ ხატვას, ძერწვასა და სიმღერას, ეცნობიან ქართულ ანბანს, ახერხებენ ქართული ლექსების დაზეპირებას, აგრეთვე, ცდილობენ ქართულ ენაზე შეისწავლონ ათის ფარგლებში მათემატიკური ანგარიში... წლის განმავლობაში, ყოველი ახალი სეზონის დადგომისას ბავშვებისთვის ეწყობა საინტერესო ღონისძიება, რომელსაც მშობლებიც ესწრებიან, ერთ-ერთი ასეთი შეხვედრა სულ ახლახან გაიმართა, /ეგიდით "სკოლისაკენ ჰერი, ჰერი"/ და საჩვენებელ ღონისძიებაზე მოსულმა კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების სპეციალისტები ნია ჯუხარიძე, მაკა სომხიშვილი.

კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება.

ახალსახლობამდე

დროებითი ბაღი, რომელიც ახლახან მიუჩინეს სოფელ გრაკლის საბავშვო ბაღის /გამგე ნანა კუჭავა-გრაკლიშვილი/ აღსაზრდელებს, რომ იტყვიან, ნამდვილი შვებაა არა მხოლოდ ბავშვებისათვის, არამედ მათი მშობლებისა და აღმზრდელ-მასწავლებლებისთვისაც... საქმე ის გახლავთ, რომ სოფლის მოსახლეობა წლების განმავლობაში ითხოვდა აღნიშნული საბავშვო დაწესებულების განახლებას, წესრიგში მოყვანას, ბოლოს და ბოლოს გადაწყდა ამ პრობლემის მოგვარება...

— ახალსახლობამდე, ვიდრე განახლებულ, საკუთარ ადგილსამყოფელში დაიდებენ ბინას ჩვენი ბავშვები გადავწყვიტეთ, რომ დაცულად, საიმედოდ ყოფილიყო ყველა და ადგილობრივი ხელისუფლების დახმარებით, მათი უშუალო ჩარევით აღსაზრდელები დროებით სხვაგან გადავიყვანეთ, — განმარტავს კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორი მანანა ხვთისიაშვილი, — დარწმუნებული ვარ, რომ ყველაფერი გეგმის მიხედვით წარიმართება და გრაკლელ პატარებს სერიოზული სიურპრიზი ელოდებათ.

მანამდე კი, გრაკლის საბავშვო ბაღის დროებით სამყოფელს სასურველი სტუმრები ეწვივნენ, ბავშვებთან შესახვედრად აქ მოვიდნენ კასპის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე თამაზ ტატანაშვილი, მერიის განათლების, კულტურის, სპორტის სამსახურის უფროსი თეა ხორბალაძე, დოესის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული ტარიელ ოხანაშვილი, მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორი მანანა ხვთისიაშვილი, სპეციალისტები: ხათუნა ხაჩიძე, ნია ჯუხარიძე, მანანა მერებაშვილი.

სტუმრებმა საგულდაგულოდ დაათვალიერეს დროებითი ბაღი და საიმედო თანადგომას შეჰპირდნენ.

შეხვედრები

„ასჯერ ავდგები ლიმილით სავსე„

უკვე მეორე წელია სალონური შეხვედრები კასპის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკების გაერთიანებაში ტრადიციად დამკვიდრდა.

ამჯერად კასპის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკების გაერთიანების საქალაქო ბიბლიოთეკაში გაიმართა შეხვედრა ქალაქ რუსთავის გიგა ლორთქიფანიძის სახელობის მუნიციპალური თეატრის მსახიობთან, უკვე სამი პოეტური კრებულის ავტორთან, ჩვენი მუნიციპალიტეტის მკვიდრთან, ქალბატონ ეკატერინე ქვრივიშვილთან.

"რატომ ვწერ?!. არის კი ჩემში პოეტი?!. ვწერ, მაინც ვწერ... ვწერ იმას, რაც მტკივა, რაც მაწუხებს... მიყვარს და სიყვარულით ვეფერები... მტანჯავს უსამართლობა და ვებრძვი... მაოცებს თეატრი და ვიძირები... მიტაცებს სივრცე და დავფრინავ... მხვდება ლაბირინთები, სადაც დავდივარ და დავდივარ...

"ვილაშქრებ წამზე" და ვცდილობ მის შეჩერებას, თუ ვერ შევძელი, ყველაფერი წარსულს ჩაბარდება... მას ჩავაბარო?!. დავუტოვო?! არა! არ მინდა დრო... არ მინდა წამი... მინდა ყველაფერი უსასრულოდ..."

შეხვედრა უშუალო და გულთბილ ატმოსფეროში წარიმართა. კითხვა - პასუხის რეჟიმში, რამაც მსმენელს საშუალება მისცა სრული წარმოდგენა შექმნოდა ეკატერინე ქვრივიშვილის ბიოგრაფიასა და მისი მრავალმხრივი შემოქმედების აქამდე განვლილ გზაზე.

ეკას გახსნილობა სამყაროსადმი გადაედო დამსწრე საზოგადოებას, დარბაზიდან წამოსული სითბო შეერწყა ეკას უშუალობას და დარბაზის დატოვება ყველას გაუჭირდა.

ეკა ქვრივიშვილის ახალი კრებული "ფარდის მიღმა" თითქმის ყველა დამსწრეს შეხვდა.

ლექსების კრებული შეემატა კასპის ბიბლიოთეკების ფონდებს და ჩვენს მკითხველს შეუძლია იმოგზაუროს პოეზიის ულამაზეს ლაბირინთებში.

ღონისძიებას ესწრებოდნენ: კასპის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსი თეა ხორბალაძე; კასპის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკების გაერთიანების დირექტორი თეა ბარნაბიშვილი; საზოგადოების წარმომადგენლები. ღონისძიების ორგანიზატორი გახლდათ გაერთიანების სპეციალისტი ლია მენაბდიშვილი.

სპორტული ცხოვრების დღიური

* 20 მაისი: კალათბურთი, ქ. კასპი – ამხანაგურად გაეჯიბრნენ კასპისა და ხაშურის 14-წლიანი ჭაბუკების ნაკრები გუნდები. მატჩი დამთავრდა მასპინძელთა გამარჯვებით (63 : 49) – მწვრთნელი დავით ჯინიყაშვილი.

* 20 მაისი: კარატე, ქ. თბილისი – დედაქალაქის ღია ჩემპიონატის სარეიტინგო ტურნირში მონაწილეობდა კლუბი "ხვადის" (მწვრთნელი დავით დალაქიშვილი) 6 მოზარდი. მათი შედეგი მაქსიმალურია, ყველამ დაიმსახურა პრიზი: პირველ ადგილზე გავიდნენ: ვახტანგ წიკლაური, გივი ფსუტური და რიმა მჭედლიშვილი; მეორეზე – დავით ჯანჯულია, ხოლო მესამეზე – თამაზ ნაბახტეველი და ქეთევან წიკლაური.

იმავე პირველობაზე, ასევე, გამოვიდა საბრძოლო ხელოვნებათა კლუბი "კასპის" (მწვრთნელი ალექსანდრე მანძულაშვილი) გუნდი.

უმცროსებში პირველი იყო ანი მამულაშვილი (მანვე ერთი წლით უფროსებში მე-3 ადგილი დაიკავა), მეორე კი საბა ხანოიანი. მე-3 ადგილები დაიკავეს მარიამ მანძულაშვილმა და მარიამ პატაშურმა (ეს წარმატებული იყო დიდებშიც, მე-2 ადგილი).

* 23 მაისი: ძიუდო, სოფ. გალავანი (მცხეთა) – 2013 წელს დაღუპული მოჭიდავის, არჩილ ჩოხელის, ხსოვნის საერთაშორისო მემორიალურ ტურნირში ჩემპიონობა მოიპოვა ლევან მამულაშვილმა, ხოლო მესამე იყო ნუგზარ გელხაური.

* 26 მაისი: ქართული ჭიდაობა, სოფ. ახალქალაქი – დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი სანახაობითი ღონისძიების პროგრამაში ჩართული იყო გასართობ-საჩვენებელი შეჯიბრება (სოფლის ძველი გალავნის ტერიტორიაზე). მონაწილეობდნენ მოხალისეები – ბავშვები, ახალგაზრდები, კაცები, გოგონები. მიზანმა – ადგილებზე ეროვნული სახეობის პოპულარიზაციამ – გაამართლა.

* 26 მაისი: ტაეკვონდო, ქ. ზუგდიდი – სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარის ღია ჩემპიონატის მე-2 პრიზიორი გახდა კლუბი "კასპის" წარმომადგენელი მედეა ხალიბეგაშვილი. მესამე ადგილოსნები არიან ვასილ ხალიბეგაშვილი და საბა ღვალაძე.

* 26-27 მაისი: კიკბოქსინგი, ქ. თბილისი – საქართველოს პირველობაზე, რომელშიც მონაწილეობდნენ 15-16 წლის ჭაბუკები, ქვეყნის ჩემპიონობა მოიპოვა კასპის სპორტული კლუბის "იმედის" პერსპექტიულმა სპორტსმენმა რაულ ჯაფაროვმა (მწვრთნელი ოთარ თოიძე ამბობს, რომ მან 2017 წელს მოიგო ქ. ახალციხის "ჯავახეთის საერთაშორისო ტურნირი" და მისგან კვლავაც წარმატებებს მოელის). მისი მეორე აღსაზრდელი გიორგი ახვერდოვი გაჩემპიონდა 12-13-წლიანებში, ხოლო ლუკა ბარნოვი იგივე ასაკში მე-3 იყო.

* 28 მაისი: ათლეტიზმი (წოლჭიმი), ქ. სიღნაღი – ამაგდარი მწვრთნელისა და მსოფლიო რეკორდსმენის, შოთა ბეჟაშვილის, სახელობის ახალგაზრდული რესპუბლიკური ტურნირის მონაწილე 7 გუნდს შორის იყო კასპის ათლეტკლუბის 15-16-წლიანი ჭაბუკების ნაკრები, რომელსაც გიორგი მერებაშვილი ავარჯიშებს. 83 კგ-მდე მოასპარეზეებში გაიმარჯვა ლუკა მერებაშვილმა. მან 125 კილოგრამიანი შტანგა დააფიქსირა (კასპის პირველი საჯარო სკოლის მოსწავლემ უკვე მოასწრო საქართველოს ჩემპიონობა და თასის მოპოვება).

პირველი-მეორე ადგილები (59 კგ-ში) გაინაწილეს ლუკა ორბელაშვილმა (95 კგ დაძლია) და ნიკა დალაქიშვილმა (87,5). აი, მესამეადგილოსანმა გიორგი ორბელაშვილმა კი, რომელიც 15 წლისაა და 66 კილოგრამს იწონის, ასწია 95 კგიანი შტანგა.

ისინი ივნისის ბოლოს იასპარეზებენ საქართველოს ჩემპიონატში, რომლის ჩატარება დაგეგმილია ქ. თელავში.

29-30 მაისი: ძიუდო, ქ. საგარეჯო – ცნობილი მოჭიდავის, როინ ყორღანაშვილის, ხსოვნის მემორიალური ტურნირი (2003-04 წლებში დაბადებულთა შორის). კასპის გუნდი მოამზადა გამოცდილმა მწვრთნელმა ნუგზარ მამულაშვილმა. მისი შეგირდებიდან ყველაზე უკეთ გამოვიდა გიორგი ხინიზოვი: იგი გაჩემპიონდა 81 კგ-ში, ხოლო აბსოლუტური წონის კატეგორიაში გავიდა მე-3 ადგილზე. ვასილ მღებრიშვილმა (55 კგ) მხოლოდ ფინალური ორთაბრძოლა დათმო. ლევან მამულაშვილი (42) და სოსო ჟოვიძე (60) კი გავიდნენ მე-3 ადგილებზე.

* 1-2-3 ივნისი: ქართული ჭიდაობა, ქ. ახალციხე – საქართველოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე იასპარეზეს 18-20 წლის ახალგაზრდებმა, რომლებმაც საამისო უფლება წინა

შეჯიბრებებზე მოიპოვეს. გვყავს ჩემპიონი – სპარტაკ გულიაშვილი (მძიმე წონაში). მეორე იყო ზაზა ჯანანაშვილი (81 კგ), ხოლო მესამენი – ნუგზარ გელხაური (50 კგ) და ვალერი მღებრიშვილი (55)... გუნდი შეჯიბრებისათვის მოამზადა მწვრთნელმა იოსებ მამულაშვილმა.

* 1-2-3 ივნისი: კარატე, ქ. თბილისი – საერთაშორისო ტურნირი "ოფენ ჯორჯია" განეკუთვნებოდა "ა" კატეგორიის სარეიტინგო შეჯიბრებას. სპორტკომპლექსი აქაც ორმა კლუბმა წარადგინა:

"ხვადის" სახელით ჩემპიონობა მოიპოვა ვახტანგ წიკლაურმა. მანვე, დამატებით, იასპარეზა საქართველოს ნაკრების რიგებში და იქაც ტურნირის ჩემპიონი გახდა. თავის ჯგუფში მე-2 ადგილზე გასულმა ქეთევან წიკლაურმა ძალები მოსინჯა აბსოლუტურ პირველობაზეც, სადაც კვარცხლბეკის მე-3 საფეხურზე შედგა.

"კასპის" გუნდიდან მოასპარეზეებში ყველაზე მეტად იყოჩაღა ორ ასაკობრივ ჯგუფში ჩაბმულმა მარიამ მანძულაშვილმა, რომელმაც ერთბაშად 3 ჯილდო ირგუნა: ორივეგან მე-3 იყო, ხოლო აბსოლუტურ პირველობაზე გამოსვლისას ჩემპიონობა აღარავის დაუთმო. 10-11-წლიანებში მესამე იყო მედეა ხალიბეგაშვილი, ხოლო 14-15-წლიანთა შორის, ასევე, მესამე – მარიამ სამხარაძე.

* 4-16 ივნისი: კალათბურთი, ქ. გორი – "ჯუნიორის" პროგრამით მიმდინარეობდა შიდა ქართლის მხარის რაიონების 10-12 წლის მოზარდ კალათბურთელთა პირველობა (ე. წ. "მინიკალათბურთში"). გათამაშების ჯგუფურ ეტაპზე კასპის სპორტკომპლექსის ბავშვთა გუნდმა (მწვრთნელი მიხეილ მაკეევიჩი) გამართული 8 მატჩიდან აქტივში მითვალა 50-პროცენტიანი ბალანსი: ლეხურისპირელმა ბიჭუნებმა ამით მოიპოვეს ქ. ქუთაისში ფინალურ ეტაპზე თამაშის უფლება.

* 9 ივნისი: კალათბურთი, ქ. თბილისი – დედაქალაქის ოლიმპიურ სასახლეში ჩატარდა კალათბურთის მწვრთნელთა გადამზადებისა და ლიცენზირების გამოცდები (პირველი ეტაპი).

მონაწილეობდნენ ტესტირებაგავლილი მწვრთნელები. პროგრამა 2 წლის უკან დაიწყო "მწვრთნელთა კავშირის" პროგრამით და განვლილ პერიოდში 250-ზე მეტმა მწვრთნელმა მიიღო ე. წ. "ცე" კატეგორიის ლიცენზია, რაც 14 წლამდე მოზარდებთან მუშაობისათვის არის საჭირო და აუცილებელი...

ზემოხსენებული გამოცდები წარმატებით ჩააბარა კასპის სპორტსკოლის 12-14-წლიანთა ჯგუფის მწვრთნელმა დავით ჯინიყაშვილმა. ვულოცავთ!

* 9-10 ივნისი: ჭიდაობა ძიუდო, ქ. ბოლნისი – ღვაწლმოსილი მწვრთნელის, თენგიზ ნავერიანის, სახელობის ტურნირი ჭაბუკთა შორის. ჩვენებურებიდან პრიზიორთა მე-3 საფეხურზე შედგნენ: ვასილ მერებაშვილი (38 კგ) და ნუგზარ გელხაური (50 კგ).

* 10 ივნისი: ქართული ჭიდაობა, ქ. დუშეთი – საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის, ზაურ სიდამონიძის, ხსოვნისადმი მიძღვნილ მემორიალურ ტურნირზე საპრიზო ადგილზე გავიდა ზემოხანდაკელი ჭაბუკი ბაქარ ერაშვილი (73 კგ). (აქვე შევნიშნავთ, რომ იგი ვაჟიშვილია ახლო წარსულში ცნობილი მოჭიდავე ბაკურ ერაშვილისა და უნდა მივიჩნიოთ მამა-ბიძის სპორტული ტრადიციების გამგრძელებლად. ერთიც: ბაქარი აპრილში გორში ჩატარებულ დურმიშხან ბერუაშვილის ხსოვნის ტურნირზე მე-2 იყო).

* 16-17 ივნისი: ჭიდაობა ძიუდო, ქ. კასპი – ჩვენს ქალაქში თვის მესამე შაბათ-კვირას მოწყობილი ჭაბუკ ძიუდოისტთა საერთაშორისო მასშტაბის ტურნირი მიზნად ისახავდა კომპლექსში შემომავალი საწვრთნელი ჯგუფების საადღეისო მზადყოფნისა და შესაძლებლობების ერთგვარ დათვალიერებას, თუ რა შედეგებია მიღწეული ბოლო ხანებში, მეტადრე მოწინავე სპორტული რეგიონების ფონზე.

ტურნირის დონე განაპირობა მონაწილეთა რაოდენობამ – 300-ზე მეტი მოასპარეზიდან მესამედი მასპინძელმა მხარემ გამოიყვანა. სულ კი, კასპში გუნდები მოავლინეს საქართველოს 10-ზე მეტმა ქალაქმა და რაიონმა, დედაქალაქის სამმა სპორტულმა კლუბმა და, ასევე, სომხეთის, კვიპროსისა და რუსეთის სპეციალისტებმა.

ერევნელი 8 ჭაბუკიდან ერთმა სულაც ჩემპიონის ოქროს მედალი წაიღო, ისევე, როგორც რუსეთიდან ჩამოსულმა ქართული გვარის მქონე სპორტსმენმა მაქს ცოცხალაშვილმა, რომელსაც იქ ქართველი მწვრთნელი ავარჯიშებს!

ამდენად, მათთან პაექრობაში ჩვენი ბიჭების მონაგარი (9 მედალი) თითქოს ცოტაა, მაგრამ ესეც გარკვეული წარმატებაა მაშინ, როცა კასპში ახალი სპორტდარბაზის ამოქმედებიდან მხოლოდ ერთი წელი გავიდა!

ასე რომ არა, ანუ მათ მეტი საშეჯიბრო გამოცდილება ჰქონოდათ და კიდევ 3 საფინალო ორთაბრძოლა მოეგოთ, მასპინძელთა ჯილდოებით "ყულაბა" უფრო დამძიმდებოდა.

სწორედაც რომ ყველაზე პრესტიჟულ (მძიმე) წონაში იყოჩაღა 16 წლის ირაკლი დემეტრაშვილმა. თანატოლ ჩემპიონს ამჯერზე მხარი ვერ აუბეს ფინალურ ორთაბრძოლებში ჩაბმულმა მეგობრებმა – ნუგზარ გელხაურმა, ბაქარ ერაშვილმა და გიორგი ხინიზოვმა.

ასევე, მხოლოდ მესამეადგილოსნობით დაკმაყოფილდნენ: თორნიკე გიგაური, ლევან მამულაშვილი, სანდრო ახლოური, გიორგი თვაური და ვასილ ბუნტური.

... და, მაინც, ჩვენი ორიენტირი რადგან მაქსიმუმის მიღწევაა, ესოდენი წინსვლა გვაფიქრებინებს, რომ ჩვენში ერთ დროს ყველაზე წარმატებული და ტრადიციული ჭიდაობის სახეობებისადმი თანადგომა რადიკალურად შესაცვლელია, უფრო სოფლებში ასამაღლებელია მწვრთნელთა საერთო კვალიფიკაცია, რადგანაც ერთი-ორი გამონაკლისის გარდა იქ სამწვრთნელო-სავარჯიშო პირობები დროის გამოძახილს ჩამორჩება.

ასეთ დროს მხოლოდ ცენტრში ახალი სასპორტო კერის არსებობა საერთო ამინდს მთლიანად ვერ გადაფარავს.

დიახ, სპორტში დრო ყველაზე დიდი გამომცდელია, ახალბედა სპორტსმენებთან მუშაობაში მოდუნებას არ გვპატიობს...

ისე კი, ტურნირი, ორგანიზების მხრივ, არ დაიწუნებოდა, რაც კომპლექსის დირექციის დამსახურებაა. ასევე, მადლობას იმსახურებს სათანადოდ გარჯილი საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის სამსაჯო შტაბის წარმომადგენლობა მერაბ ლოსეურაშვილის თავკაცობით.

კასპის ტურნირი აუცილებლად გახდება ტრადიციული. ასეთია კომპლექსის ხელმძღვანელობის სურვილი და ჩანაფიქრი.

კასპის სპორტული კომპლექსი.

თვითგამოხატვის ჩვენებური ხერხი



კასპის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დარბაზი პატარა მუზეუმს ჰგავდა. აქ გამოფენილი თვალისმომჭრელი თექის ნამუშევრები: „ჩემი სოფელი“, „აბანოთუბანი“, „საქართველოს რუკა“, „შენ ხარ ვენახი“, „სვანეთი“ და სხვა უამრავი ხელით ნაკეთი ლამაზი ნივთი, საყოფაცხოვრებო მოხმარების საგნები, სათამაშოები ყველას ყურადღებას იპყრობდა... თექის ოსტატი და შესანიშნავი პედაგოგი ნინო ქენქაძე უკვე 17 წელია ამ საქმით არის დაკავებული და ბევრი მიმდევარიც შეიძინა. საქმე ის გახლავთ, რომ ნინო ქენქაძე სამი წელია მოსწავლეთა სახლში მოღვაწეობს, თექაზე მუშაობის და გიტარაზე დაკვრის შემსწავლელ წრეებს ხელმძღვანელობს.

— გადაუჭარბებლად შეიძლება იმის თქმა, რომ ორივე წრე ჩვენს მოსწავლე-ახალგაზრდობაში ძალიან მოთხოვნადია, — განმარტავს მოსწავლეთა სახლის დირექტორი ლელა პეტრიაშვილი, — უფრო მეტსაც გეტყვით, სწორედ დღეს, კომპიუტერის ეპოქაში ძალიან მნიშვნელოვანია მოზარდი მოვწყვიტოთ ვირტუალურ სამყაროს და გავუღვივოთ ინტერესი გაეცნოს, შეიყვაროს ძირძველი, ქართული ტრადიციული საქმიანობა, ამიტომაც არის, რომ ყველა მშობელი მოწადინებულია, რომ მისი შვილი დაკავდეს საინტერესო და შემოქმედებითი საქმიანობით, ვფიქრობ სწორედ ასეთი გახლავთ თექა /მატყლზე მუშაობა/, რომლითაც ბევრი ახალგაზრდა დაინტერესდა.

მოკლედ, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში თექაზე მუშაობას ეუფლება 10 მოსწავლე, ესენი არიან ნატა მოსიაშვილი, დარინა წიკლაური, თამთა ბიბილური, ელენე წიკლაური, ნინო გოგიტიშვილი, ნინი ბერიანიძე, მარიამ ბარნაბიშვილი, ხატია მამულაშვილი, ნინო გოგიაშვილი, ნანა ქენქაძე. მოსწავლეთა სახლში წარმატებულის სახელით სარგებლობს აგრეთვე, გიტარის დაკვრის შემსწავლელი წრე, აქ გაერთიანებული მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ საჩვენებელ კულტურულ ღონისძიებებსა და საზეიმო შეხვედრებში, მაგალითად, შარშან კასპში გაიმართა ხალხური და საესტრადო სიმღერების მუნიციპალური კონკურსი და სწორედ ამ კონკურსის საესტრადო ტურის გამარჯვებული /პირველი ადგილის მფლობელი/ გახდა ამ წრის საუკეთესო მოსწავლე ეთო სამხარაძე, სხვათა შორის, ეთოს გარდა შესანიშნავი მუსიკალური მონაცემებით გამოირჩევიან წრის წევრები: მარი კაჭიური, ხატია მამულაშვილი, სოფი ქოქაშვილი, ნანა ქენქაძე, ივანე მიდელაშვილი, ნინი ბერიანიძე, თამთა ბიბილურიძე, ანანო პაიჭაძე, ანა კალატოზიშვილი, მარიამ ბარნაბიშვილი, გიორგი მანჯიკაშვილი და ლიზი ჯოხაძე. რამდენიმედღიანი ლამაზი გამოფენა ინტერესით დაათვალიერეს კასპის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ თამაზ ტატანაშვილმა, მერიის განათლების, კულტურის, სპორტის სამსახურის უფროსმა თეა ხორბალაძემ, სახელოვნებო სკოლების გაერთიანების დირექტორმა ლალი ჯანჯალაშვილმა, სამუსიკო სკოლის დირექტორმა შორენა შეშაბერიძემ და სხვებმა, რომლებმაც დადებითად შეაფასეს მოსწავლეების შემოქმედება და მადლობა გადაუხადეს პედაგოგებს აქტიურობისათვის.



კასპის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანება.

საქადაგიანოს საჯარო სკოლაში

საქადაგიანოს საჯარო სკოლაში განხორციელებული საინტერესო პროექტი /ხელმძღვანელები, პედაგოგები ნანული რაზმაძე და თამარ ალიევი/, რომელიც მოამზადეს საქადაგიანოს, ფერმისა და მიქელწყაროს საჯარო სკოლების მოსწავლეებმა, საქართველოს დამოუკიდებლობის ასი წლის იუბილეს მიეძღვნა...

ისტორიულ თარიღთან დაკავშირებით ღონისძიებაზე საინტერესოდ გამოვიდა ფერმის საჯარო სკოლის მეშვიდე კლასის მოსწავლე ანი ბალხამიშვილი, რომელმაც თანატოლებს გააცნო საქართველოს პირველი რესპუბლიკის შექმნის პერიპეტიები. ღონისძიებაში ფერმის საჯარო სკოლიდან მონაწილეობა მიიღეს მეშვიდე კლასის მოსწავლეებმა: იასმან ზეჰიდ კიზიმ, აისუნ გუსეინოვმა, სევილ რამაზი კიზიმ, აისუნ იმრან კიზიმ, რომლებმაც შეასრულეს ქართული ხალხური სიმღერები.

საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით ლექსები წაიკითხეს მესამეკლასელმა თამარ ჯაფაროვმა, მეექვსე კლასის მოსწავლეებმა საფა თოფჩიევმა, ბულგეიზ გუსეინოვმა, ემილია ალმამედოვმა და მარიამ ნასიბოვმა.

პროექტის მონაწილეებს კასპის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა რუსუდან მიგრიაულმა საზეიმო ვითარებაში გადასცა სამახსოვრო სიგელები. აღნიშნული პროექტის მიზანი გახლდათ სამოქალაქო ინტეგრაციისა და მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლება.

ყვავილების მეჯლისი

ახალქალაქის სამუსიკო სკოლის მხატვრული კითხვისა და თეატრალური წრის ხელმძღვანელის ლელა ალიმბარაშვილის ინიციატივითა და ორგანიზებით სკოლაში ხშირად იმართება მუსიკალურ-თეატრალიზებული წარმოდგენები, ლიტერატურულ-შემეცნებითი ღონისძიებები... სკოლის მოსწავლეებთან ერთად ამ ლამაზი, დაუვიწყარი ლი, რომლებმაც მაყურებლის ოვაციები დაიმსახურეს. ამ არაჩვეულებრივი, ფანტასტიური სანახაობა-კარნავლის დადგმაში მოსწავლეებმა ყვავილები „მოიშველიეს“, მონაწილეობდნენ: ანანო და ვასო მჭედლიშვილები, ნინო გერმისაშვილი, მარიამ ბეგლარაშვილი, მანჩო ხუციშვილი, მარიამ ნავროზაშვილი, თაკო და ტატო ბერიაშვილები, თაკო და მარ- მუსიკალურად გააფორმა კონცერტმეისტერმა ლალი წიკლაურმა...

იყო არაჩვეულებრივი განწყობა, აღტაცება და სიხარული, მუსიკალურ ნომრებს ენაცვლებოდა მხატვრული კითხვა, თეატრალიზებული წარმოდგენები, მაყურებელი მოხიბლა ბავშ- დარბაზის სცენაზე მოიწვია სამუსიკო სკოლის დირექტორი ქალბატონი ლია ნაზარაშვილი, მისი ემოციური, შთამბეჭდავი, სამადლობელი გამოსვლის შემდეგ საკუთარი აზრი დააფიქსირეს ღონისძიებასთან დაკავშირებით, მუნიციპალიტეტის მერის წარმომად-

სანახაობის მოწყობაში ჩართულია სოფლის ახალგაზრდობა, მონაწილეობენ აგრეთვე, მშობლები და სოფლის აქტივის წარმომადგენლები... დიახ, მოსწავლეთა ძალებით ახლახან გამართულ ზღაპრულ წარმოდგენაში „ყვავილების მეჯლისი“ — მონაწილეობდა 26 შემსრულებელი, იამ ზალინაშვილები, ნინო მძინარაშვილი, ბექა და გვანცა ბროლაძეები, რამაზ და სალომე საფაროვები, თამარ უსტიმენკო, ლიზი თითირაშვილი, ანანო, სოფო და ნატალი ვარდოშვილები, ნინო ჯანგიშერაშვილი, გიორგი თათანაშვილი, ლიზი და ანი ბაკიძეები, ნუკრი დარბიაშვილი. კონცერტი ვების მიერ შესრულებულმა ცეკვებმა /ტანგო, ვალსი, ლეზგინკა/, ჟღერდა ქართული ფოლკლორი, შესრულდა აგრეთვე, ქორეოგრაფიული ცეკვები... განუმეორებელმა ანანო ვარდოშვილმა, რომელიც ჩვეული ხალისითა და „ოსტატობით“ უძღვებოდა ღონისძიებას, ყვავილებით მორთულ გენელმა ახალქალაქის ადმინისტრაციულ ერთეულში კონსტანტინე წერეთელმა, დეპუტატმა გიორგი დარბიაშვილმა, რომლებმაც ამ დაუვიწყარი სანახაობის მოწყობისათვის მადლობა გადაუხადეს მოსწავლეებს და ღონისძიების ორგანიზატორს ლელა ალიმბარაშვილს.

ახალგაზრდა შემსრულებელთა მონაწილეობით

კავთისხევის მუსიკალურ სკოლაში გაიმართა საინტერესო ღონისძიება, რომელიც მიეძღვნა საქართველოს აცია... ჩატარდა დაუვიწყარი კონცერტი, სადაც მოწვეული იყვნენ ახალგაზრდა კომპოზიტორ-შემსრულებლები, თბილისის

დამოუკიდებლობის ასი წლის იუბილეს და ამ ისტორიული თარიღის აღნიშვნას დაემთხვა აგრეთვე, კავთისხევის სამუსიკო სკოლის გარემონტებული, კეთილმოწყობილი შენობის პრეზენტ- ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ნიჭიერთა ათწლედის მოსწავლეები: გიორგი გიგაშვილი და სანდრო გეგეჭკორი. მათ შეასრულეს ცნობილი მუსიკალური ნაწარმოებები, რომლებმაც დიდი ოვაციები დაიმსახურეს... შემდეგ შეხვედრის მონაწილეებმა დიდი ინტერესით დაათვალიერეს მუსიკალური სკოლის ხელოვნების პედაგოგის მანანა იაშვილის თოჯინების კოლექცია, რომელმაც დამთვალიერებელთა დიდი მოწონება დაიმსახურა, თოჯინების კოლექციის გარდა აქ წარმოდგენილი იყო აგრეთვე, მოსწავლეების ნახატები, თექის ნამუშევრები...

ღონისძიებას სტუმრობდა კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე დავით ლეონიძე, რომელმაც გულითადად მიულოცა კავთისხეველ მოსწავლეებსა და მათ მშობლებს, პედაგოგებს გალამაზებული და კეთილმოწყობილი სამუსიკო სკოლის შენობა და დადებითად შეაფასა მოსწავლეების შემოქმედება. კონცერტს ესწრებოდნენ სახელოვნებო სკოლების გაერთიანების დირექტორი ლალი ჯანჯალაშვილი და გაერთიანების სპეციალისტები. ბოლოს, დამსწრე საზოგადოებას, მოწვეულ სტუმრებს სიტყვით მიმართა სკოლის დირექტორმა მზია ნადირაძემ, მადლობა გადაუხადა მათ ღონისძიებაზე დასწრებისათვის.

ლაურეატი ანსამბლი

გორის სამუსიკო სკოლის საკონცერტო დარბაზში გაიმართა საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდული საგუნდო კოლექტივების მეოთხე ეროვნული კონკურსის პირველი ტური, სადაც მონაწილეობდნენ კასპის სამუსიკო სკოლის გაერთიანებული გუნდი და ქვემო ჭალის კულტურის სახლის ფოლკლორული ანსამბლი /ხელმძღვანელი გიორგი ხასიშვილი/ “საამილახვრო”. პირველი ტური ანსამბლმა წარმატებით გაიარა, ხოლო მეორე ტური, რომელიც შედგა 13 მაისს დედაქალაქის 166-ე საჯარო სკოლაში, იყო ტრიუმფალური, საქმე ის გახლავთ, რომ კონკურსის კომპეტენტური ჟიური მოიხიბლა ანსამბლის რეპერტუარით, რომელიც ძირითადად შედგენილია ქართლური სიმღერებით, უმაღლესი ქულებით შეაფასა აქაური მომღერლების საშემსრულებლო მანერა და ამდენად, ორივე ანსამბლი დაჯილდოვდა ვერცხლის მედლით და მიენიჭათ ლაურეატის წოდება... განსაკუთრებით სასიხარულოა ის ფაქტი, რომ მთელი საქართველოს მასშტაბით საუკეთესო სოლისტის ნომინაციაში, კასპის სამუსიკო სკოლის გაერთიანებული გუნდის სოლისტებს მიშო ჟივიძეს და გურამ ქამხაძეს გადაეცათ სიგელები. დაჯილდოების ცერემონია გაიმართა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში, სადაც კასპის სამუსიკო სკოლის გუნდმა შეასრულა ორი სიმღერა “ჩონგურო” და “ჩავუხტეთ ბარათაშვილსა”, ხოლო ქვემოჭალელთა “საამილახვრო” წარდგა ქართლური სიმღერებით, — “არულალო” და “თოხნური”. ბოლოს, საგუნდო კონკურსის ორგანიზატორმა და დამფუძნებელმა ლია ჭონიშვილმა, ჟიურის თავმჯდომარემ ნანა ვალიშვილმა შემაჯამებელ გამოსვლაში, აქტიურობისა და ქართული ფოლკლორის პოპულარიზაციისათვის უდიდესი მადლობა გადაუხადეს კასპელ მუსიკოსშემსრულებლებს და მათ ხელმძღვანელებს. თავის მხრივ კი, სამუსიკო სკოლის მოსწავლეები მხარდაჭერისა და თანადგომისათვის გულითად მადლობას უხდიან მუნიციპალიტეტის მერიისა და კულტურის სამსახურის, სამუსიკო სკოლის ხელმძღვანელობას, აგრეთვე, სახელოვნებო სკოლების გაერთიანებას, რომ არა მათი მუდმივი ზრუნვა, აქტიური მხარდაჭერა, ბავშვებს ალბათ, ძალიან გაუჭირდებოდათ.

კასპის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანება.

გილოცავთ!

იუბილარი

არიან ადამიანები, რომლებიც განვლილი ცხოვრებით ანთებული ჩირაღდანივით გზას უნათებენ მომავალ თაობებს — რეზო ტყემალაძე სწორედაც რომ ასეთი პიროვნება გახლავთ...

80 წელი შეუსრულდა წარსულში ცნობილ ფეხბურთელს, მწვრთნელსა და სპორტულ მოღვაწეს, ჩვენი რაიონის სპორტული მატიანის ერთ-ერთ შემოქმედს რეზო ტყემალაძეს.

— ვინ მოთვლის, რამდენ ახალგაზრდას გაუმართა ხელი და დააკვალიანა, წლების განმავლობაში მხარში ედგა ფეხბურთით გატაცებულ და დაინტერესებულ ახალგაზრდებს, თავს ევლებოდა სპორტის მოყვარულ ყმაწვილებს, — იხსენებს კასპის მუნიციპალიტეტის სპორტის დაწესებულებების გაერთიანების სპეციალისტი ტარიელ ბეგლარაშვილი, — ფეხბურთის ძველ გულშემატკივრებს ალბათ, კარგად ახსოვთ რეზო ტყემალაძის შესანიშნავი თამაში საფეხბურთო მოედანზე, სხვადასხვა დროს, იგი გამოდიოდა კასპის “სტროიტელის”, თბილისის “ტოდოს” შემადგენლობაში, მაგრამ განსაკუთრებული წარმატებით ითამაშა მან საბჭოთა კავშირის პირველობის მეორე ლიგაში მონაწილე გორის “დილაში” 1963-1966 წლებში.

ფეხბურთელის კარიერა რეზო ტყემალაძემ 1967 წელს მშობლიურ კასპის “განთიადში” დაასრულა, მერე კი დიდი ხნის მანძილზე იგი კასპის სპორტული სკოლის ფეხბურთის მწვრთნელად ილვწოდა...

სპორტული და სამწვრთნელო საქმიანობასთან ერთად ბატონი რეზო გახლდათ აღიარებული ორგანიზატორი, კარგი, სამაგალითო და მზრუნველი ხელმძღვანელი.



რვა წლის განმავლობაში, 1976-1984 წლებში ხელმძღვანელობდა კასპის სპორტულ სკოლას.

მართალია, რვა ათეული წლის სიმძიმე აწევს მხრებზე, მაგრამ იგი კვლავინდებურად მხნედ, იმედიანად გამოიყურება, ბატონი რეზო ისევ სპორტის, განსაკუთრებით კი, ფეხბურთის ურიცხვ თაყვანისმცემელთა რიგებშია. ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატი უფრო საინტერესო და ხალისიან ზაფხულს ჰპირდება ჩვენს ამაგდარ სპორტსმენსა და ქალაქის გამორჩეულ მოქალაქეს.

80 წლის იუბილესთან დაკავშირებით კასპის მუნიციპალიტეტის სპორტის დაწესებულებების გაერთიანებამ /დირექტორი შოთა გოგიაშვილი/ ამაგდარს საიუბილეო საჩუქარი გადასცა, ჯანმრთელობა და ხანგრძლივი სიცოცხლე უსურვა.

კასპის მუნიციპალიტეტის სპორტის დაწესებულებების გაერთიანება.

გახდით ჩვენი მკითხველი!

რედაქციაში შემოსული წერილები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ

გაზეთი იბეჭდება შ.პ.ს. კოლორ პრესში

რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
სტატიის ავტორის აზრი, შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის აზრს. მოტანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
სარეკლამო მასალებისა და განცხადებების შინაარსზე რედაქცია პასუხს არ აგებს.
რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება.

რედაქტორი ნანა მერებაშვილი

რედაქციის მისამართი: 2600 ქ კასპი სააკაძის ქ. № 68 ტელეფონი 22-25-76